№ 253
ოთხშაბათი, 30 ნოემბერი 1894

1877--1894

# ივერია

№ 253
ოთხშაბათი, 30 ნოემბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## „ივერია“

გამოვა 1895 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტ ფ ი ლ ი ს ი,**

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакцiя „ИВЕРIА“.

მსურს ვიქონიო ბუხჰალტერის ადგილი დიდ საზოგადო ანუ კერძო სავაჭრო საქმეში. ადრესი «ივერიის» რედაქციაში მოიკითხეთ.

(3—5—1)

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, 30 ნოემბერს, ნაშუადღევის 12 საათზე, ჩუღურეთში პანასევიჩის ქუჩაზე, აკურთხებენ ქალაქის მიერ გამართულს ახალს ქალაქის დასაწყისს რუსულ სასწავლებელს.

*** ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში აცნობა სამხედრო ინჟენერების მმართველობას, რომ ქალაქის გამგეობა თანახმაა ალექსანდრეს ზემოთი ბაღის მიღებისა თავისს ზედამხედველობის ქვეშაო, იმ პირობებისამებრ, რომელიც ინჟენერთა მმართველობამ გამოუცხადა ქალაქსაო.

*** გუშინ ქალაქის გამგეობაში კენჭის ყრა მოხდა ტფილისის პირველ დეჟათა გიმნაზიის ღარიბ მოსწავლე ქალთა შორის, რომელთაგანაც ერთი მოწაფე ჩაირიცხა ქალაქის „სტეპენდიანტკათ“.

*** კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟენერს ფრიდეს, პარასკევს 2 დეკემბერს დასახელებულ გზის ინჟენერები და მოხელენი ლონდონის სასტუმროში გამოთხოვების სადილს უმართავენ. ინჟენერი ფრიდე ამ კვირის დამლევს რუსეთში მიდის, სადაც იგი გადაყვანილ იქმნა პოლესკის რკინის გზების უფროსად.

*** შეუძლებელთათვის ღამის თავშესაფარი, რომელიც ტფილისის პოლიცმეისტერმა გამართა ვერაზე, დასრულებულ იქმნება დეკემბრის პირველს.

*** ამას წინად ორმოცამდე გაჯავრებულთ სომეხთა განეზრახათ ოსმალეთის ელჩის (ტფილისში) სადგომის დამსხვრევა და გაძარცვა, რადგანაც ოსმალეთში მრავალ სომხებს ხოცენ ქურთები. სომხების განზრახვა შეატყობინეს პოლიცმეისტერს მასტიცკის, რომელმაც ოსმალეთის ელჩს გაუგზავნა ყაზახები და პოლიციის მოხელენი და ამის გამო მათ ვერ შეასრულეს თავიანთი განზრახვა. ამ საქმეზე პოლიციამ ოქმი შეადგინა და გუშინ პეტერბურგს გაგზავნა. ამ განზრახვაში მონაწილეობას იღებდნენ თურმე 48 სომეხი.

*** პირველს დეკემბერს დანიშნულია კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება. განხილულ იქმნება მიმდინარე საქმენი და მოსმენილ ა. კ. კარეეცკის მოხსენება: შენიშვნა ქ. ყაზახის დიმპალ ციების შესახებ და ლ. ა. ნოვიცკის რამდენიმე სიტყვა რუსეთში საზებიო საქმის განკარგების გამო.

*** თიანეთი. აგერ ნოემბერი მიიწურა და ზამთარს ჯერ კიდევ თავისებური სუსხი არ გამოუჩენია. თიანეთის მაზრისკენ ჯერ კიდევ კარგი დარებია და დღისით საკმაოდ თბილა. ღამეც-კი ჩვეულებრივი ყინვები არ არის, რაც ძლიერ იშვიათი მოვლენაა თიანეთის მაზრისათვის. თოვლი ორჯელაც მოვიდა, მთლად მინდვრებ-მთები გაათეთრა, მაგრამ მალევე აიღო თოვლი და დღეს ხომ თოვლის ჭაჭანება არ არის, როგორც მინდვრებზედ, აგრეთვე თიანეთის ირგვლივ მთებზედ.

*** სოფ. ხიმში (რაჭის მაზრა): 10 ნოემბერს, როდესაც აქ წმ. გიორგობასა დღესასწაულობდნენ, უცებ ცეცხლი გაუჩნდა ერთის საწყალის ობლის სახლს და სულ ერთიანად გადიბუგა. იქიდგან ცეცხლი გადაედო ნ. შარაშიძის საბძელ-ბოსელს და ესეც გადასწვა. ამ უკანასკნელის სახლი ძლივს გადაარჩინეს, ისიც იმის წყალობით, რომ რა-კი წყალი ვერ იშოვნეს, ცეცხლს ოც-და-ათი კასრი ღვინო გადაასხეს და ამ საშუალებით ჩააქრეს. ცეცხლის გაჩენის მიზეზი პაპიროსის ნამწვის გაუქრობლად გადაგდება აღმოჩნდა.

*** ხობი. სოფლელებიც დიდად შეწუხებულნი არიან ექიმის უყოლობით და ფოსტა-ტელეგრაფის უქონლობით. ყოველთვის იძულებულნი არიან ირბინონ დ. სენაკსა ან ზუგდიდში, რომლებიც ოც-ოცის ვერსის სიშორეზედ მდებარეობს. ძლიერ საჭიროა, რომ ექიმი აქ ახლო სადმე სცხოვრობდეს. სენაკიდან ან ზუგდიდიდან წამოყვანა ექიმისა, 15--20 მანეთი ღირს და აბა ვის შეუძლიან ყოველ გაჭირვების დროს 15—20 მანათი იხადოს?!.

*** გორი: წრეულს გორის მაზრაში სწორედ რომ აუარებელი ხილი მოვიდა. გორის ყანთარზედ ხილი ისე გაიაფდა, რომ სამ ფუთიან გოდორს მსხალს ანუ ვაშლს შვიდ-რვა აბაზად იხვეწებიან. ისე დღე არ გავა, 10—15 ხილით დატვირთული ტივი არ გაემგზავროს ტფილისისკენ. საბრალო გლეხ-კაცები თუმცა ტივით წაღებისათვის ბევრს იტანჯებიან ხოლმე, რადგანაც ტივები გზაში ხშირად ირიყება, მაგრამ მეტი ჯანი არ არის, ისევ ტივით წაღებას რჩეობენ რკინის გზით წაღებას, მიზეზი ის არის, რომ ტივით წაღება ბევრად იაფად ჯდება, ვიდრე რკინის გზით. ამიტომ კარგი იქმნება რკინის გზის მმართველობამ ხილის ტარიფი შეამციროს, რითაც გაჭირვებულ გლეხებსაც ეშველებათ და რკინის გზასაც დიდი სარგებლობა მიეცემა.

*** 27 ნოემბერს სოსინის სახლში, მიხეილის ქუჩაზედ, რევოლვერით თავი მოიკლა 23 წლის ყმაწვილმა კაცმა ვასილ ფედოროვმა. ტყვია მარჯვენა ყურს ზევით მოხვედრია.

*** სენატს განუმარტავს, რომ ჩარჩთაგანს ამიერიდგან ღვინის შესყიდვა აღარავის შეუძლიან, თუ მოწმობა («პატენტი») არა აქვს. ყველა, ვინც ამ წესს დაარღვევს, სამართალში იქნება მიცემული.

*** პეტერბურგიდგან „ტფილ. ლისტ.“ ერთს სასიამოვნო ამბავს ატყობინებენ, რომ ტფილისსა და კახეთს შუა რკინის გზის გაყვანა ნება დართულიაო. გზას ამიერ კავკასიის გზების მმართველობა გააკეთებს სახელმწიფო ხარჯით. მომავალის წლის სახელმწიფო ხარჯთა რიცხვში გადადებულია ორი მილიონი მანათი ამ საგნისათვის. ამ გზას იმ მიმართულებით გაიყვანენ, როგორც ამას წინად ინჟენერთა დასმა, ბ. ა. ნ. პუშეჩნიკოვის მეთაურობით გამოიკვლია სათავად-აზნაურო ბანკის ხარჯით და სამჯობინოდ დაინახა.

*** ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შარვაშიძე, 28 ნოემბერს, საღამოს მატარებლით, აბასთუმანიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან დაარსებულ შემნახველ-გამსესხებელ კასსაში ამა ოქტომბრის თვეს შეუტანიათ 49,916 მ. 25 კ. ახალი წიგნაკები მიუციათ —127 კაცისათვის. სულ მთლად ამ ამ წლის 1 იანვრიდგან 1 ნოემბრამდის შეუტანიათ 629,535 მან.

*** ამ ჟამად ტფილისში, „გრანდოტელის“ სასტუმროს 29 ნომერში სცხოვრობს დამბლა დაცემული, დაბრმავებული და დაყრუებული

## ფელეტონი

### მგოსანს

—

ჩამოჰკარ ჩანგსა, მგოსანო,
ჰქმენი წყალობა დიადი:
გვასწავე ძმობა, ერთობა,
რომ განვიშუქოთ წყვდიადი,

რომ შრომას მივესწრაფოდეთ,
გონებით ამაღლებული,
სუსტსა შევძახოთ: გამხნევდი,
ნუ ჰგმინავ გამწარებული...

დრო მოგვევლინა ბრწყინვალე,
მთა-ბარის ამყვავებელი,
დავრდომილთ თანაგრძნობისა
და მათი გამხარებელი.

აღსდექ, გამხნევდი, აღიღე
ხელში სიმართლე ფარადა,
მტერსა დაეცი, განგმირე,
კაცობა გადებს ვალადა.

თვალნი ნუ მიგილულია,
ნუ ემონები წყვდიადსა,
გამოახილე, სინათლე
ქვეყნად სხივსა ჰფენს დიადსა!

მოძმეს დაჰკივლე: შევერთდეთ
და ვიმოქმედოთ ერთადა,
ხელი ხელს გადაჭდობილნი
მამულს მივეცნეთ მსხვერპლადა.

ჩამოჰკარ ჩანგსა, მგოსანო,
გვასწავე, რაც-კი გვაკლია,
დამაბუნებულს შენს მოძმეს
შენი ძახილი აკლია!..

დ. ნინოწმინდელი

### უგუნური სურვილი

კ. მენდესისა

ფეხშიშველა, თმა-გაწეწილმა მათხოვარმა შემთხვევით მეფის სასახლის წინ გაიარა. დიდი ვარსკვლავებრ ბრწყინავი, შავი თვალები, ახლად გადაშლილი ვარდის კოკორის მსგავსი ტუჩები და ხუჭუჭი ოქროს ფერი თმა ზეციურის სილამაზით ამკობდა ქუჩაქუჩა მაწანწალა ახალგაზდა ჭაბუკს. მზე, თითქოს მოხიბლული იმის სიმშვენიერით, თავისს ცეცხლ-მფრქვევის სხივებით ერთი-ორად უფრო ამკობდა იმისს დაგლეჯილ-დაძონძილ ტანისამოსს, ვიდრე აბრეშუმს, ხავერდსა და ფარჩას, სასახლის უმთავრეს კართან შეკრებილ რაინდთა და უმშვენიერეს ქალთა.

— ოხ, რა მშვენიერია! უცბად წამოიძახა მაწანწალამ და თვალები გაშტერებით შეაჰყიტა სასახლის ერთერთ ფანჯარას.

ფანჯარასთან იდგა უმშვენიერესი როზალინდა. მართლაც იმაზედ მშვენიერი, იმაზედ კეკლუცი ძნელად თუ-და მოიძებნებოდა დედამიწის ზურგზედ. ამ საუცხოვო სანახაობით გატაცებულს მაწანწალას ხმა ჩასწყდა, ხელები ზე აღაპყრო, თითქოს ღმერთს შემწეობას სთხოვსო, და ვინ იცის რამდენს ხანს დარჩებოდა ასე, რომ ქუჩის მცველს არ შეემჩნია და ლანძღვა-გინებით არ გაეგდო.

ის წავიდა, მაგრამ იმისი სული და გული იქ დარჩა. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ გონება აერია, გარშემო ჩამობნელდა... ყვავილებს, მოტრფიალე ყვავილებს სიცოცხლე დაეკარგა და თვით ქვეყნის მბრძანებელ მზესაც სიკვდილის ფერი დაედო. ის ჩამოჯდა გამხმარის მუხის ძირას და გულ-საკლავს ტირილს მიეცა.

— შვილო, რა გატირებს ეგრე მწარედ? ჰკითხა გამხმარის ფიჩხის ტვირთ ქვეშ ოთხად მოკაკულმა დედაკაცმა.

— რად მკითხავ, რად გსურს შეიტყო ჩემი ვაება? განა ამით ჩემს წყლულს ეშველება რამე? არა, გულკეთილო დედაკაცო! ჩემს ვარამს შენ ვერაფრით ვერ უშველი.

— ძალიან სცდები! ამაყად მიუგო დედაკაცმა, თანაც ფიჩხი ძირს დაჰყარა და წელში გაიმართა. ერთი წუთიც და ჭაბუკის თვალებს საკვირველის სილამაზის ახალგაზდა ქალი წარმოუდგა. იმისი ტანისამოსი ოქრო-ვერცხლით იყო მორთული და თავი ფერად-ფერადის ყვავილებით—ამწვანებული.

— ოხ, მშვენიერო მოჩვენებავ! მუხლ მოდრეკით შეჰყვირა მაწანწალამ,—შეიბრალე ჩემი საწყალი, ბედშავი გული, მეფის ქალის უიმედო სიყვარულით დაკოდილი. სულ რამდენიმე წუთია, რაც ვნახე, მაგრამ ჩემი გული უკვე მიიზიდა. დიახ! რამდენიმე წუთია, რაც გულში მიზის, მაგრამ საუკუნოებსაც არ ძალ-უძთ იმისის ანგელოზებრივის სახის აღმოფხვრა.

— კარგი, მიუგო მოჩვენებამ, ეგ ისეთი უბედურება არ არის, როგორიც შენა გგონია.

— განა ჩემთვის დედამიწის ზურგზედ ამაზედ უარესი იქნება-ღა რამე? მოვკვდები მწარედ, უიმედოდ, თუ რომ ის არ შევირთე.

— მერე ვინ გიშლის? როზალინდა ჯერ გასათხოვარია.

— ნუ თუ ვერ ჰხედავ ჩემს ძონძებს, ჩემს შიშველ ფეხებს? მე ხომ მათხოვარი ვარ!

— თუნდაც ეგრე იყოს! ეგ ხომ არ დაუშლის გაგიჟებით უყვარდე იმას, ვინც შენ გიყვარს გულწრფელად. ეს საუკუნოებით დამტკიცებული და მასთან სასწაულებრივ საკვირველი ჭეშმარიტებაა. შეიძლება მეფემ და დედოფალმა უარ გყონ, შეიძლება კარის-კაცთ სასაცილოდ აგიგდონ, მაგრამ თუ შენი გრძნობა გულ-წრფელია, გულის სიღრმიდგან არის ამოხეთქილი, მაშინ შეუძლებ-

პ. ა. კ. და დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილი. პ. ა. კ.—ს პეტერბურგის უნივერსიტეტში დაუმთავრებია სწავლა და ერთს დროს თვალსაჩინო ადგილიც სჭერია. კ. კარგად სცნობია ზოგიერთს ტფილისის წარჩინებულ გვამთ

## კორესპონდენცია

**ს. სტეფანწმინდა** (ხევი), 17 ნოემბერი. აქ აგერ რამდენიმე თვეა, რაც რაღაც ერთგვარი ავადმყოფობა მძვინვარებს. ეს ავადმყოფობა ეხლა უფრო გაძლიერდა და დღითიდღე მრავალს ხალხს ჰხოცავს. მაგ., 17 ამ თვისას ამ ავადმყოფობამ ოთხი სული იმსხვერპლა. ხალხი ამ ავადმყოფობას სახადს ეძახის. ეს ავადმყოფობა იწყება თავის ტკივილით და სიცხით, რომელიც დღითი დღე ჰმატულობს, ბოლოს ავადმყოფი ჰკარგავს გრძნობას და მოჰყვება ბოდვას. ავადმყოფობას თან ახლავს კუჭის წვა, პირსაქმება, ფაღარათობა და იშვიათად ყაბზობა. დიდი და პატარა სულ ერთია, ვისაც გაუჩნდება, ან იმ დღესვე მოჰკლავს ან სამიოდე კვირა სტანჯავს, ზოგნი ჩქარა რჩებიან.

ამ ბოლოს დროს-კი ეს სენი მსწრაფლად მუსრს ადენს ხალხს. ამ გვარის სატკივრით იმუსრება ხალხი, მშველელი-კი არავინ არის. კავკავიდგან ექიმის მოყვანა 20—25 მანათამდის ჯდება, რაც გლეხისათვის შეუძლებელია, მაზრის ექიმი (დუშეთისა) ძალიან შორს არის, ამ გვარად ხალხი ძალიან შეწუხებულია. კერძოდ მივმართავთ ქართველს ექიმებს და ვსთხოვთ შეგვატყობინონ ამ ავადმყოფობის მოვლა და წამლობა ან გაზეთის ან კერძო წერილის საშუალებით; თუ წამლებსაც გამოგვიგზავნიან, დიდს სამსახურს გაუწევენ ბედისაგან დაჩაგრულს ხალხს. დარიგება და ყოველისავე შეწევნის გამოგზავნა შეუძლიანთ ჩვენ სახელობაზედ, სამხედრო გზის ყაზიბეგის სადგურზედ.

ს. სტეფანწმინდის სამრევლო სკოლის მასწავლებელი გიორგი ნათაძე

**აბჟუა** (კოდორის განყოფილება სოხუმის ოლქისა). როდესაც სოხუმის ოლქში მობრძანდა ბ-ნი მეურნეობის მინისტრი და დაათვალიერა ზოგიერთი ახალშენები, გეხსომებათ, რომ ამ უკანასკნელთა მცხოვრებლებმა შესჩივლეს ბ-ნ მინისტრს, აფხაზები გვაწუხებენ ქურდობითაო. ამ გარემოებამ უიმისოდაც შენიშნულს აფხაზებს კიდევ უფრო გაუფუჭა რეპუტაცია მთავრობის თვალში. ჩვენ არ ვამართლებთ ყველა აფხაზებსა და არ ვიტყვით, რომ იმათში ქურდობა არ იყოს გავრცელებული, არც იმას ვახსენებთ, რომ მგელს მგელობა ერქვა და ტურამ დააქცია ქვეყანაო, ვიტყვით მხოლოდ, რომ მთელის ერის (თუ ვინმემ ეს იკადრა) ქურდებად დასახვა უსამართლოდ და სინამდვილეს მოკლებულად მიგვაჩნია. რასაკვირველია, აფხაზებშიაც არიან ქურდები, როგორც ყოველ ხალხში, იქმნება ცოტა მეტი რიცხვიც ერიოს იმათში, მაგრამ უმრავლესობა მაინც ქურდობის წინააღმდეგია და სულითა-და-გულით მოწადინებულია, რომ იგი, მათდა სახელის აღსადგენად მოისპოს როგორმე. ბ. მიწათ-მოქმედების მინისტრი კოდორის განყოფილებაშიაც რომ მობრძანებულიყო და ეკითხა აფხაზებისათვის: რა გაწუხებთო, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, იმასვე გაიგონებდა, რაიცა ახალმოშენე რუსთაგან გაიგონა, ე. ი. შესჩივლებდნენ ქურდობა გვაწუხებსო და შეეხვეწებოდნენ, რამე ღონე გვიღონეთო. ასე იმიტომ მოიქცეოდნენ აბხაზები, რომ იმათ „სუდ“-ზე იმედი და სასოება დაჰკარგეს ქურდობის მოსპობის საქმეში, რადგან ისინი არა იშვიათად ხედავენ: კაცის მკვლელი მათში თავისუფლად დასეირნობს, ხოლო უბრალო ალალ-მართალი-კი ციმბირშია გაგზავნილი... საცოდავები-კი არიან აბჟუის აფხაზები იმითიც, რომ ერთი ისეთი განყოფილების უფროსი, რომელსაც გამოეჩინოს ნამდვილი მამობრივი მზრუნველობა იმათზე, არავინ ეღირსათ. ეხლანდელი განყოფილების უფროსი ჯერ ახალი კაცია, იმაზე ჯერ არც კარგი, არც ძვირი არა გვეთქმის-რა ხოლო მისმა წინამოადგილეებმა-კი ვერ გაამართლეს ჩვენი იმედები. ამ დღეებში კოდორის განყოფილების მცხოვრებთა წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ ოჩამჩირეში, სადაც მსჯელობა და თათბირი იქონიეს ქურდობის მოსასპობ რამე ღონისძიებათა მიღებაზედ. აქ, როგორც ამბობენ, შეუმუშავებიათ დებულება ქურდობის მოსასპობად. ამ დებულების უმთავრესი მუხლი, როგორც ამბობენ, იმაში მდგომარეობს, რომ გლეხი, რომელსაც ქურდობის ჩადენა დაატყდება, უნდა „გაიროზგოს“, ხოლო აზნაური უნდა გადაყვანილ იქმნას ადმინისტრაციის ძალით. ამისთანა დებულება უნდა მთავრობას დაამტკიცებინონ. ვეჭობთ, ასეთმა ღონისძიებამ საკმაო სარგებლობა მოიტანოს. აქ საყურადღებო უფრო ის არის, რომ თვით საზოგადოება მოწადინებულია ქურდობა მოსპოს და არა რა საშუალებას არ ზოგავს, ოღონდ ეს სენი თავიდან აიცილოს...

სამურზაყანოისა და აბჟუის (კოდ. განყოფ.) საეკლესიო სამრევლო სკოლები (და თვით ეკკლესიებიც) დაათვალიერა დეკანოზმა მ. დავ. მაჭავარიანმა, რომელიც ამ ოკტომბრის თვეში დაიარებოდა სარევიზიოდ. ყველგან დეკან. დ. მაჭავარიანი ხალხს უქადაგებდა და მისის ქრისტიანობრ. მოძღვრება-დარიგებით მეტად კმაყოფილნი რჩებოდნენ მსმენელნი. ერთგან მ. დეკანოზმა, თავისს პირდაპირ საგნის შესახებ მოძღვრების გათავების შემდეგ, ურჩია ხალხს, გაიმართეთ სასოფლო მაღაზიებიო (წრევანდელმა მოუსავლობამ მისცა საბაბი ამაზე სიტყვის ჩამოგდებისა, სიმინდი ნაკლებ მოვიდა წრეულს) და მაგალითად ტფილისის გუბერნიის სოფლები მოუყვანა... მ. დეკ. მაჭავარიანი წლოვანებით ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელზე უხნიერესია, ვგონებთ, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად მარჯვედ არის, რომ ამდენი მანძილის გავლა ცხენით და მერე ჩვენებურ, ე. ი. სამურზაყანულ-აფხაზურ, გზებზე არაფრად მიიჩნია... ამ დეკანოზზე იყო, რომ ამ რამდენისამე წლის წინედ იმის შიშით, რომ იგი მღვდელ-მთავრის ხარისხზე არ აღეყვანათ და სოხუმის კათედრა არ ჩაებარებიათ, მისმა მოკეთეებმა „დანოსი“ გაგზავნეს, სადაც ჯერ იყო: დეკანოზ. მაჭავარიანი იმდენად მოხუცდა, რომ წირვის დროს ფეხზე დგომა აღარ შეუძლიაო...

ახლა-კი სარევიზიოდ ჰგზავნიან და რამდენი ასი ვერსი უნდა გაიაროს ცხენით, და ზოგან ფეხითაც... ასე ჩუმო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო...

ქ.

**ხიდისთავი.** 27 ნოემბერი. ხიდისთავის უბედურება უხიდობაა. მდ. ტანამ აპრილსა, მაისსა და თიბათვეში ისეთი მოგრიალება იცის, რომ ცხენიანი კაციც ვერ გაჰბედავს შიგ გავლას. ამ დროს ეს სოფელი სრულიად მოწყვეტილია გორსა და რკინის გზის სადგურს და იმასთან ხოვლე, ხანდაკი, ახალქალაქი, ატენი, დოესი და ჩოჩეთიც.

სოფელს შეძლება არა აქვს იმის შეკეთებისა, ერობის ფულით უნდა გაკეთდეს ეს ხიდი, მაგრამ ეს ღვთის მანანაც აქამდის იგვიანებს და არსადა სჩანს. ადგილობრივმა ბოქაულმა არა ერთხელ მისწერა, სადაც ჯერ იყო, უხიდობით ხალხი დიდად არის შეწუხებულიო. ეს თხოვნა თითქოს კიდეც შეიწყნარეს და რამდენჯერმე ინჟენერები გამოგზავნეს ხიდის გასასინჯად (შარშან ბ-ნი ბუტკევიც მივიდა, დაათვალიერა და წავიდა), მაგრამ ხიდი მაინც, გაუთხოვარ ქალსავით, ჰზის და ბედს ელის. რაც ინჟენერების გზავნაზედ ფული დაიხარჯა, ვგონებთ ისიც-კი ჰკმაროდა ერთის მკვიდრის ხიდის გასაკეთებლად. ამასობაში საბრალო ხალხი იძულებულია მეორე—რკინის გზის ხიდით ფეხით სიარულს, მაგრამ ეს ხიდი რა ხეირობას გაუწევს ამ ხალხს, როდესაც ზედ არც ურმის გატარება შეიძლება და არც ცხენისა?!. ნუ თუ ჩვენს უხიდობას ბოლო მეორედ მოსვლამდე არ მოეღება?..

მეორე ამ სოფლის ნაკლი და უბედურება გზის უვარგისობაა, იმ გზისა, რომელიც გორიდგან ხიდისთ-თავამდე მიდის. ეს გზა სრულიად გაუკეთებელია და წვიმის შემდეგ ისეთი ზღვა დადგება ხოლმე ტალახისა, რომ შიშველი კაცი თუ გააღწევს, თორემ ტანისამოსიანი უეჭველად შიგ ჩაირჩვება.

მესამე უბედურება სასწავლებლის უქონლობაა. ხიდისთავში 250-დგან—300-მდე კომლი გლეხობა სცხოვრობს და ერთი უბრალო, მცირე პირველ-დაწყებითი სასწავლებელი არ მოეპოვებათ, რომ თავისს შვილებს ანა-ბანა მაინც არის ასწავლონ. ადგილობრივი ბოქაული ყურსაც არ იბერტყავს, სხვა შეგნებული კაცი სოფელს არა ჰყავს, რომ დაარიგოს და გააგებინოს სწავლის მნიშვნელობა, და არის ეს სოფელი ასე დაობლებული უსწავლელედ, უგზოდ და უხიდოდ. «ხარი ხართან დაბმული ფერსაც იცვლის და ზნესაცაო», ამბობს ანდაზა, ამ სოფელმა-კი ამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდე მოაღწია, მაგრამ ვერც ფერი იცვალა და ვერც ზნე; რაც იყო ისევ, ის არის; რაც უჭირდა, ისევ ის უჭირს; იგივე უსასწავლებლობა, იგივე უგზოობა და იგივე უხიდობა.

სტუმრად ნამყოფი

**ზუგდიდი.** შარშან ზოგიერთ სწავლა-განათლების გულ-შემატკივართა მხნეობით და მთავრობის დახმარებით ზუგდიდში დაარსდა ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, სადაც ეხლაც სწავლობს სამასამდე მოსწავლე. როგორც სამეგრელოს სხვა სასწავლებლებში, აქაც რუსულის სწავლა ვერ მიდის ისე, როგორც სასურველია; რადგან ამ ენას ასწავლიან დედა-ენის დაუხმარებლად, რაც დიდს დროს აკარგვინებს, გაჭირვებაში აგდებს მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებსაც. ცხადია, რომ ქართულის ენის დახმარება ორკეცად გაადვილებდა რუსულის შესწავლას, რადგან ყოველმა მეგრელმა მოსწავლემ იცის ქართული ლაპარაკი. მეორე მხრით ქართული ენის ვარჯიშობა, მისი შესწავლა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ყოველის მეგრელისათვის, რადგან ამ ენაზედ ის გულ-დასმით ისმენს უფლის სიტყვას და ჰკითხულობს თავისს ერის ათასწლობით არსებობის ისტორიას. კარგი იქნებოდა, ზუგდიდლებს ეთხოვათ უმაღლესის მთავრობისათვის, რომ სასწავლებელში მათის შვილებისათვის რუსულ ენასთან ესწავლებინათ ქართულიც, რომელიც ისტორიულის საბუთებით ნათლად ცნობილია მეგრელთა დედა-ენად.

---

ლია როზალინდას გული არ მოლბეს, არ ატოკდეს და, როდესაც შენ მოსამსახურენი გაგდევნიან, ძაღლები ყეფით გამოგიდგებიან, თვალ-ცრემლიანი როზალინდა მოგეგებება და სახე გაბრწყინვებული მტლად დაგედება.

ჭაბუკმა უიმედოდ გააქნია თავი.

— გაფრთხილდი ჭაბუკო! წარმოსთქვა კვლავ მოჩვენებამ. სიყვარული უარ-ჰყოფს იჭვს და შეიძლება ურწმუნოება ძვირად დაგიჯდეს. ამის და მიუხედავად მსურს შენი ტანჯვა შევამსუბუქო: მთხოვე რაც გინდა, მე აღვასრულებ.

— მე მსურს მთელს ქვეყანაზედ უძლიერესი მთავარი ვიყო, რომ შემეძლოს ჩემის მომხიბლავის ცოლად შერთვა.

— ის არ სჯობია იმის ფანჯარასთან მიხვიდე და ცეცხლ-მოკიდებულის გულით სიყვარულის საგალობელი უმღერო? მაგრამ, მეტი გზა არ არის! აღთქმა მოგეცი და თხოვნა უნდა აღვისრულო. მხოლოდ გაფრთხილებ-კი: როდესაც შენ ის აღარ იქმნები, რაც ამ ჟამად ხარ, ვერავითარ ძალას, ვერა მოჩვენებას, თვით მეც აღარ შეგვეძლება უწინდელი შენი სახე და მდგომარეობა დაგიბრუნოთ, ერთხელვე მთავრად ქცეული სამუდამოდ იგივე იქმნები.

— ნუ თუ გგონია, მშვენიერი როზალინდას მეუღლემ ოდესმე კიდევ მათხოვრობა მოიწადინოს?

— იყავ ბედნიერი! — ამოხვნეშით წარმოსთქვა მოჩვენებამ და თავისს კვერთხი მაწანწალას მხარს ოდნავ შეახო. მსწრაფლ ძონძებში გამოხვეული ჭაბუკი ბრწყინვალე, ძლიერ მთავრად გარდიქცა.. მამაცურად, თავით ფეხამდე შეიარაღებული, საუკეთესო ცხენზე გამოჭიმული, იგი მიუძღოდა ძლიერს რაზმს, რომელთა საყვირის ხმა არე-მარეს შიშის ზარს ჰგვრიდა.

II

სასახლეში მძლავრი მთავარი დიდის დიდებით მიიღეს. იმისს გულისთვის გამართული ნადიმი და ქეიფი მთელს კვირას არ შეწყვეტილა. ყოველს საღამოს, ბალებში, მშვენიერნი ასულნი სამეფოსანი, გარს ეხვეოდნენ; ყველა სცდილობდა იმისს გართობას, გამხიარულებას. მაგრამ ახალგაზდა მთავრის გონება, სული და გული, დღეცა და ღამეც როზალინდას გარშემო ტრიალებდა. როდესაც იმას დაინახავდა, გული ნეტარებით ევსებოდა, იმისი ხმა ზეციურ ჰანგად გაჰკრიალებდა ყურებში. სუნთქვა ეხუთებოდა, გული ერთი ორად უფრო უცემდა, როდესაც ცეკვის დროს იმისს ხელს შეეხებოდა. მაგრამ მთავრის იმედი არ ასრულდა: როზალინდა ყურადღებას არ აქცევდა, იგი სულ სხვა ფიქრში იყო და ოცნებით სხვა ქვეყანაში დაფრინავდა. მთავარმა მაინც თავისი არ დაიშალა და როზალინდას ცოლად შერთვის სურვილი განუცხადა. როზალინდას დედმამა სიხარულით დასთანხმდა მთავრის სურვილს. ამ გვარად გუშინდელი მაწანწალა დღეს, დედა-მიწის ზურგზედ, უმშვენიერეს ქალის ქმრად იქმნა აღიარებული, ასეთმა ბედნიერებამ მთავარი უზომო სიხარულს მისცა, მაგრამ ეს სიხარული, ნეტარება დიდხანს არ გაგრძელებულა. როდესაც როზალინდამ გაიგო თავისის ბედის ასე გადაწყვეტა, გონება აერია და გულ-წასული დაეცა. მოსულდგმულებულმა ცრემლიანის თვალებით განაცხადა, რომ „არასოდეს არ გავხდები მთავრის ცოლიო“.

III

ახალგაზდა მთავარი სასოწარკვეთილებას მიეცა. გამწარებულ-აღელვებულმა ვეღარ მოითმინა, როზალინდას ოთახში შევარდა და მუხლ-მოდრეკით შეჰყვირა:

— ოხ, ჩემო მტარვალო! თქვენი სიტყვები მტანჯავს, მკლავს, სასოებას მიკვეთს და გთხოვთ დათანხმდეთ ჩემს ცოლობას, გამომიხსნათ ამ სატანჯველისაგან.

როზალინდამ დინჯად გაახილა თვალები და წყნარის, მაგრამ მაგარის კილოთი მიუგო.

— მთავარო! ჩემს გარდაწყვეტილებას ვერავინ ვერ შესცვლის, მე თქვენი ცოლი არასოდეს არ გავხდები.

— როგორ! მაშ უმოწყალოდა ჰკლავთ ჩემს გულს, თქვენის უზომო სიყვარულით გამსჭვალულს! ისეთი რა დანაშაული ჩავიდინე, რომ ამ გვარს აუტანელს სასჯელს მაყენებთ. იქნება ეჭვი გაქვთ ჩემის სიყვარულისა? ან იქნება გეშინიანთ, რომ ოდესმე შემძულდებით? ოჰ! რომ შეგეძლოთ ჩემს გულში ჩახედვა და იქ ტანჯვის მელნით დაწერილ გულისთქმათა აღმოკითხვა, ყოველივე შიში და იჭვი გაგიქრებოდათ! მართალია, ლამაზი ხართ, შეუდარებელი ლამაზი, მაგრამ ჩემი სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ ღირსია თქვენის სილამაზისა და თუ არ შეიწყნარებთ ჩემს ვედრებას, ჩემს უზომო ხვეწნას, მხოლოდ შავს სიკვდილს შეუძლიან ჩემის წყლულის განკურნება. გთხოვთ, გევედრებით დამიბრუნოთ იმედი, თუ არა-და, ჩემი სამარე თქვენ ფეხთ წინ არის!!..

ეს სიტყვები მთავარმა შეუჩერებლივ, თითქმის უსუნთქებლივ წარმოსთქვა.

— უბედურო მთავარო! მიჰმართა როზალინდამ, თუ რომ ჩემი თანაგრძნობა განუგეშებთ, მზად ვარ განგიცხადოთ იგი, მით უმეტეს, რომ მე თქვენზე, თუ არ მეტად, ნაკლებ არ ვიტანჯები.

— რა გსურთ, მთავრინა, მაგით სთქვათ?

— მე თუ უარ-გყავით და ცოლობას არ დაგთანხმდით, ეს იმიტომ რომ თვით ჩემს გულს უიმედოდ უყვარს ახალგაზდა მაწანწალა, რომელმაც მხოლოდ ერთხელ, ფეხშიშველამ, თმა-გაწეწილმა, ჩემს სასახლის წინ გაიარა, მარტო ერთხელ შემომხედა და სამუდამოდ განჰქრა.

ილო

აუცილებლად საჭიროა აგრეთვე ზუგდიდში დაარსება წიგნთ-საცავისა, რომელიც დიდს სარგებლობას მოუტანს მოსწავლე ახალგაზრდობას და თვით ზუგდიდლებსაც. წიგნთ-საცავი ამისთანა დიდ მაზრაში, როგორიც არის ზუგდიდი, უეჭველია იხეირებს და მის დაარსებისათვის არავინ დაჰზოგავს ორიოდე გროშს, მაგრამ ამისთვის რიგიანი მოთავეა საჭირო. კარგი იქმნება ამ საქმეს ხელი მოჰკიდონ იმ ზოგიერთმა ღირსეულმა მანდილოსნებმა, რომელთაც დიდი ხანია დამსახურებული აქვთ ზუგდიდლების პატივის-ცემა.

არ შემიძლიან უყურადღებოდ დავტოვო ნივთიერად დაქვეითება ზუგდიდლებისა და მასთან მთელს სამეგრელოსი, რომელიც გამოიწვია სიმინდის ფასის დაცემამ. ყველა უჩივის, ესაყვედურება ფულის სიძვირეს. კარგი იქმნება; რომ იმ კომიტეტმა, რომელსაც აქვს მინდობილი განხილვა სიმინდის ფასის დაცემის მიზეზებისა და აღმოჩენა იმის ბაზრის მოსაპოვებელ წყაროებისა, მომავალს წელს მაინც ააცილოს სამეგრელოს ის ნივთიერი შევიწროება, რაც წრეულს მან ვაი-ვაგლახით გადაიტანა.

დიმ. ბ—ია

## რუსეთის ცხოვრება

—

რუბინშტეინის გვამის შემურვის დროს, განსვენებულის თავის ქალა გაუსინჯავთ და უცნაურის მოყვანილობისა აღმოჩენილა. შუბლის ძვალი საშინელი სქელი იყო თურმე: ნახევარ სანტიმეტრი. ამ სისქე შუბლის ძვალი მხოლოდ იდიოტებს აქვთ და დიდად ხელს უშლის ადამიანის ტვინის განვითარებას. ა. გ. რუბინშტეინის ტვინი-კი დიდად განვითარებული აღმოჩნდა. ამისთანა შემთხვევა მეცნიერებისთვის ჯერ ახალია. ლომბროზო ამტკიცებს, რომ გენიოსს და სულით ავადმყოფს შორის დიდი მსგავსებააო. იტალიელს მეცნიერს შეუძლიან, ამ შემთხვევის გამო, გენიოსობა დაუახლოვოს იდიოტობას.

—

ამ დღეებში სასჯულო საქმეთა სამინისტროში დაიწყებენ განხილვას და ძირეულად გადაკეთებას აწ მომქმედ კერძო ვექილთა შესახებს კანონდებულებისას.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Недѣля»-ს აზრით რუსეთის იმპერატორის მანიფესტის შესახებ, „ეჭვი არ არის, რომ მთელი რუსეთი დიდის სიხარულით მიეგებება ამ შესანიშნავს სიტყვებს ხელმწიფისას, რომელიც უეჭველია ყველას გულზედ აღიბეჭდება. ჯერ ისევ ამ რამდენსამე ხნის წინად ძნელად თუ შეიძლებოდა ამ გვარის რესკრიპტის გამოცემა. სურვილი მეფისა, რომ „თავისი უგულითადესი მადლობა“ გამოუცხადოს ერობას და სხვა ადგილობრივ დაწესებულებათ, რომელნიც სახელმწიფოს თავისს სარგებლობის წვლილს არ აკლებენ და რომელთა შორის ჩათვლილია თავად-აზნაურობაც, არა როგორც ცალკე წოდება, არამედ, როგორც ერთი ადგილობრივ დაწესებულებათაგანი, თითქმის იმასა ჰმოწმობს, რომ მოახლოვდა დრო შინაგანის მშვიდობიანობისა, წოდებრივ ცრუ მორწმუნეებისაგან განთავისუფლებისა; ჰმოწმობს, რომ მოახლოვდა დრო მეფობისა, რომელიც აღსავსე იქმნება იმ მშვიდობიანის სურვილით, რომ ყველას რაც-კი, ცოცხალია და სიცოცხლესა თხოულობს, თანასწორად პატივისცემა და კეთილის ყურადღება ჰქონდეს მიქცეული.

ხელმწიფის დეპეშებს, რომელიც მოჰყვა აუარებელ უქვეშევრდომილესს დეპეშებს ამბობს გაზეთი, ერთი საზოგადო თვისება აქვთ. „ეს საზოგადო თვისება ყოვლად უმოწყალესის პასუხისა წრფელი, გულ-ახდილი კილოა და ამასთანავე ჭეშმარიტი წარმოდგენა იმ სახელმწიფო ვალდებულებათა, რომელიც იკისრა ხელმწიფე იმპერატორმა. ყველგან ამ მოვალეობას ეწოდება „დიდი სამსახური“, „სამსახური სამშობლო ქვეყნისა“, «მძიმე ტვირთი» და სხვ. როდესაც ამბობენ ხოლმე; რომ მეფობა უსაზღვრო უფლებააო, ამ თქმასთან ამ აზრსაც აკავშირებენ, რომ მეფე განუსაზღვრელად უნდა დაემონოს და დაემორჩილოს სამეფოს ინტერესებსაო. თვით „სამეფო“-კი უფრო ალერსიანს და გულ მხურვალე სახელებით იხსენიება: „სამშობლო“, „სამშობლო რუსული მიწა“, „წმიდა რუსეთი“, „ძვირფასი სამშობლო“. თუ ამას მიუმატებთ ზემოდ მოყვანილს უმაღლესს სიტყვებს „მოზარდ თაობის ზნეობრივად განკარგების, გარდაცვალებულის იმპერატორის კაცთ-მოყვარე გრძნობათა და ყველა წოდების შეერთების“ შესახებ, მაშინ ახალგაზრდა იმპერატორის აზროვნების ამ მცირე, მაგრამ დიდ-მნიშვნელოვან ნიშნებიდგან შეიძლება სასიამოვნო მოვლენა დავასკვნათ. დიდის მწუხარებისა და დიდის აღთქმის დროს, მეფობის პირველ დღეს, უმაღლესი მმართველობა იჩენს ღრმა-აზრიანს დიდებულს სურვილსა და განზრახვას, რომელიც აშკარადა ჰმოწმობს, რომ იმპერატორს კარგად ესმის თავისი მოვალეობა და ღვთაებრივი პასუხის-მგებლობა და აღსავსეა სამშობლოს და საზოგადოდ ადამიანის მხურვალე სიყვარულით?“

**

ამას წინად („ივერია“, № 246) ჩვენ მკითხველებს მოკლედ ვაცნობეთ შინაარსი გაზეთ „კავკაზის“ კორესპონდენტის წერილისა, რომელიც კახეთიდგან იყო მოწერილი და ქართველებს შეეხებოდა, და დავპირდით „შემდეგსაც გაცნობებთო“. აი კიდევ რასა სწერს ისევ ის კორესპონდენტი ქართველების შესახებ.

„ქართველს კაცს თუ გული მოუვიდა, საშიშარია. სამხრეთის ცხელი სისხლი ცოტა რამეზედ აუდუღდება და იარაღი, რომელსაც მუდამ თან ატარებს, და ღვინის ულმობელი ძალა ამ სისხლის აჩქეფებას სანაზარად გადააქცევს ხოლმე. საბედნიეროდ, ბუნებრივი გულკეთილობა და იშვიათი ლოთობა ამცირებს დანაშაულთა რიცხვს, რომელიც სხვა დროს, გ. ი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდს უბედურებას მოახდენდაო. მაგალითად, კახელი მარტო ბედნიერებასა და დღესასწაულ დღეებში სვამს ღვინოს: ქორწილში, ნათლობაში და რთველის შემდეგ. დანარჩენ დროს-კი, თითქმის დიდს დღესასწაულებშიც-კი, აღდგომას, შობას, ახალ-წელიწადს, ქართულს სოფლებში სრული სიმშვიდე და მყუდროება ჰსუფევს. მართალია, ხალხს დუქნების წინ უყვარს ხოლმე თავის მოყრა, მაგრამ აქაც იმიტომ-კი არ იკრიბებიან, რომ ილოთონ, არამედ იმიტომ, რომ ერთმანეთში იმასლაათონ, ერთმანეთს ახალი ამბები გაუზიარონ. აქ არც ლანძღვა-გინება და არც მხეცური სიმღერა არ ისმის.

მუსიკა და სიმღერა პირველი თავის შესაქცევარი საშუალებაა სოფლელებისათვის. ძალიან ცუდი დარი უნდა იყოს, რომ ქართველი გლეხი სახლში დარჩეს: თავისუფლება უყვარს და წმინდა ჰაერი მთელს ქვეყანას ურჩევნიან.

დღესასწაულებში სოფლის ქუჩები ხალხით გაივსება ხოლმე, ამ დროს დიდი თუ პატარა, მოხუცი, თუ ყმაწვილი, ყველა მხიარულობს. მალე დაირა და „მუზიკაც“ გაჩნდება ხოლმე და ცეკვა-სიმღერას დასასრული არა აქვს. მხცოვანებიც ბანს აძლევენ ამ საერთო მხიარულებას და ერთად შეკრებილი მღერიან რაღაც ნაღვლიან სიმღერას. არა მღერიან მარტო ქალები. იმათი ერთიანი სიმღერა მე არსად გამიგონია და ცალკ-ცალკეც მგონი იშვიათად გალობენ, ისიც მაშინ თუ, როდესაც თავისს შვილის აკვანს მისჯდომიან და „ნანას“ დაჰმღერიან. როდესაც სოფელს გადამდები ავადმყოფობა მოედება ხოლმე, მაგალითებრ, წითელა, ყვავილი, ყელჩირქება, მხოლოდ მაშინ შეიკრიბებიან ხოლმე ქალები ავადმყოფის ოთახში და ნაღვლიანის ხმით ევედრებიან „ბატონებსა“ და „ანგელოზებს“ ავადმყოფის განკურნებასა. გვალვის დროსაც იციან ხოლმე ქალებმა სოფელ-სოფელ დავლა და ევედრებიან „ილიას“ წვიმის მოყვანას. ის ცრუ-მორწმუნეობა, რომ წვიმაცა და ქუხილიც წინასწარმეტყველ ილიაზედ არის დამოკიდებულიო, მტკიცედა სჯერათ ქართველებს. საკვირველია, რომ ეს ცრუ-მორწმუნეობა რუსებსაცა აქვთ.

ქართველი კაცი დიდი მორწმუნეა. უყვარს ღმერთი და დიდადაც ეშინიან, ამაყობს თავისის სარწმუნოებით, მისი შეუბღალველობით თავი მოაქვს და დიდის სიამოვნებით გიამბობთ, თუ როგორ უბრძოლიათ იმისს მამა-პაპას მართლ-მადიდებლობისათვის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში და როგორ მამაცურად უღვრიათ სისხლი სარწმუნოებისათვის. მხოლოდ სარწმუნოების გარეგნობა ქართველს ისე არ იზიდავს, როგორც რუსის გლეხს. ხალხის ეკკლესიაში სიარული და ეკკლესიისათვის ქველმოქმედება მხოლოდ მღვდელზედ არის დამოკიდებული. თუ მღვდელი მოახერხებს და თავს შეაყვარებს მრევლს, თუ ხალხისთვის გასაგებს ქადაგებებს ამბობს, თუ შეუძლიან რიგიანად აუხსნას და განუმარტოს ზოგიერთი გაუგებარი სიტყვები ლოცვებისა, თუ რიგიანს და გულ-შემატკივარს დარიგებას აძლევს ხალხს, ერთის სიტყვით, თუ მღვდელი ხალხისთვის თავდადებულია, მაშინ დიდის სიამოვნებით დადიან ეკკლესიაში. გარნა თუ მღვდელი მრევლის ზნეობრივ მოთხოვნილებათ არ აკმაყოფილებს, მღვდელსა და მრევლს შორის უსიამოვნება ჩამოვარდება ხოლმე, რასაკვირველია, გლეხი გულს აიცრუებს ეკკლესიაზედ.

არც ინტელიგენტებს ერიდება ქართველი გლეხი, სცდილობს როგორმე იმათ დაუახლოვდეს და თავისთვის საჭირო ცოდნა შეიძინოს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ინტელიგენტის პირადობასა და ხასიათს დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ინტელიგენტმა მოახერხა და ნდობა დ'იმსახურა, მაშინ გლეხობა გარს ეხვევა, ყოველს გარემოებაში ეკითხება და სწამს კიდეც იმის სიტყვები. თუ არა-და, უფროთხის და გულ-ცივად ეგდება.

წმინდა ქართველი — ღმობიერი, დამნდო, დიდ სულოვანი და უხვია. უკანასკნელი გროშიც-კი არა ჰშურს თავისს მოძმისთვის. მტკიცედა სწამს, რომ „ყველა ჩემი შენია და ყველა შენი ჩემიაო“. ამიტომ იმისი ჯიბე ყოველთვის სხვისთვის არის ღია, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვის ჯიბესაც თავისადა სთვლის და თუ მოძმე გაჭირვების დროს არ დაეხმარა და ხელი არ გაუმართა, კი არ ეწყინება, გაუკვირდება, „როგორ მოხდა, რომ ჩემმა მოძმემ ხელი არ გამიმართაო“. აი ასე აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი მოძმის ჭირ-ვარამი და რწმენა, რომ გაჭირვებაში უნდა კაცს დაეხმაროო. მაგრამ გლეხს არ უყვარს უბრალო რამეზედ ფულების დახარჯვა. იმას კარგად ესმის ფულების ფასი და ჰხარჯავს ფრთხილად „უსაჭიროესს“ რამეზედ. სამწუხაროდ, ამ ბრძნულს წესს მხარს უქცევს ქართველთა კეთილშობილი წოდება. ამიტომაც ბევრი გლეხი თავისს მებატონეზედ უფრო მდიდარია და ჩარჩ-ვაჭრებს იშვიათად მიჰმართავს ხოლმე. თუ მიჰმართავს, ისიც თავისს უნებურად, მაშინ, როდესაც უბედურება ეწვევა რამე.

გლეხს თავისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი მეტის-მეტად აქვს შეზღუდული. ტანისამოსით კოხტაობა არ უყვარს და არც მეტელს ალაგებს. ოღონდ-კი პური და ღვინო ჰქონდეს და მეტი არა უნდა რა. მარტო დღესასწაულებსა და ბედნიერს დღეებში გაიხსნილებს ხოლმე.

ქართველების შინაური მეურნეობა არ არის სასურველს მდგომარეობაში. ამ 10—12 წლის წინად გლეხობა წნულს სახლებში სცხოვრობდა დღეს-კი ქვითკირის სახლებიც-კი ბევრს უდგია და, მამა-პაპურის ტახტის გარდა, სტოლი და სკამებიცა აქვთ შეძენილი.

ზემოთა ვსთქვი, რომ ქართველს თუ გული მოუვიდა საშიშარია მეთქი. ამას გარდა, იგი მეტის მეტად ამაყი და თავ-მოყვარეა და ამიტომ მისის თავმოყვარეობის შებღალვა ისე ადვილი არ არის, როგორცა სჩანს. ბუნებითი კეთილი და ზრდილობიანი ქართველი ადვილად ვერ წარმოიდგენს, რომ ვისმეს მისი თავმოყვარეობის შებღალვა უნდოდეს, და ამიტომ ძნელად მოუვა გული და არც მალე ეწყინება ხოლმე მკვახე სიტყვები, მაგრამ თუ დარწმუნდა, რომ მართლა უნდათ მისი შეურაცხება, მაშინ-კი უბედურების დღე დაადგება იმისს შემაგინებელს! ქართველის გულმოსულობას და სამაგიეროს გარდახდას საზღვარი არა აქვს. კიდეც ამ მიზეზით მოხდება ხოლმე სხვა და-სხვა ბოროტმოქმედება, თორემ ქურდობა და სხვა დანაშაულის ჩადენა, როგორც ხელობა, ქართველებს ჩვეულებად არა აქვთ. მართალის სიტყვის გაგონება ყურსაც ახარებს და გულსაც. კარგი იქმნებოდა, რომ სატახტო ქალაქების გაზეთები, რომელნიც ჩვენს გლეხობას ბარბაროსებად უწოდებენ, მიჰბაძავდნენ ამ თავისს მემამულეს, ჯერ ჰნახავდნენ ჩვენს გლეხობას და მერე ისე დასდებდნენ თავისს მსჯავრს უტყუარად.

## უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ქ. ნირემგაზში ნადიმი გაუმართეს თურმე ფრანცს კოშუტს, რომელზედაც კოშუტმა წარმოსთქვა სიტყვა და სცდილობდა თავი გაემართლებინა იმ ბრალისაგან, რომელსაც იმას სდებენ. ქ. დებრეჩენში ერთი შემთხვევა მოხდა, რომელსაც დინასტიის საწინააღმდეგო მანიფესტაციის ხასიათი ჰქონდა. ამას ზედვე დაემატა ის ამბავიც, რომ კრებამ, თავისს მეფის დაუკითხავად თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა მეფე ჰუმბერტოს. ასეთი საქციელი კოშუტმა მოუფიქრობლობას მიაწერა, მაგრამ შემდეგი სიტყვები-კი ჰმოწმობს, რომ შესანიშნავის აგიტატორის შვილი, მართლა იმ გვარს აზრებსა ჰქადაგებს, რომელიც დიდს უსიამოვნებას გამოიწვევს ვენაში.

„მე ყველა ეჭვის თვალით მიყურებსო სთქვა კოშუტმა, მაგრამ ეჭვის თვალით უყურებენ ხოლმე იმას, ვისიც ეშინიანთ, ხოლო რად უნდა ეშინოდეთ ჩემი? სწორედ არ მესმის. განა მე იმისთანას რასა ვქადაგებ? კანონიერის საშუალებით ჩვენის ერის განთავისუფლების მისწრაფებას. განა ეს უკანონობაა? ეშინიანთ ჩემი-კი არა, ჩემის სახელისა. ეს სასიხარულო მოვლენაა და მეც შეუდრეკელად ვივლი იმ გზით, რომელიც ამომირჩევია. დასასრულ კოშუტმა მეფის სადღეგრძელო დალია თურმე.

## ინგლისის პირველ-დაწყებითი სასწავლებლები

„Вѣст. Восп.“-ის უკანასკნელს წიგნში დაბეჭდილია ვრცელი ცნობანი ინგლისის პირველ-დაწყებით სასწავლებლებისა და იმის წეს-წყობილების შესახებ. ეს სასწავლებლები სამს განყოფილებად არის დანაწილებული. ერთი განყოფილება დანიშნულია 3—7 წლ. ყმაწვილებისათვის,—დანარჩენი ორი-კი უფრო მოზრდილებისათვის.

პირველ განყოფილების სწავლის წესს შეადგენს: კითხვა, წერა, ანგარიში, რამდენიმე თვალსაჩინო გაკვეთილი და მრავალგვარი ვარჯიშობა საყმაწვილო ბაღებში. ამ განყოფილებაში, როგორც ვაჟებს, ისე ქალებს ერთსა და იმავე დროს კერვასაც ასწავლიან.

შესაბრალისი სანახავია სამის წლის პაწწკინტელა ბავშვი, სასწავლებლის სკამზედ მჯდომი, ამ დროს, როდესაც ჩაჰლირლიტებს ან-ბანს, მაგრამ უფრო შესაბრალისი სანახავია ეს ბავშვი გამოცდის დღეს, როდესაც ოლქის ინსპექტორის წინ გამოჭიმული, უხსნის სხვა-და-სხვა საგანს, რომელიც-კი ერთის წლის განმავლობაში უსწავლია. ბავშვი, რომელსაც სავსებით გავლილი აქვს პირველ-დაწყებით სასწავლებლის კურსი, თითქმის მშ[illegible] პირველ-დაწყებითის სასწავლებლის მეორე განყოფილებისათვის დანიშნულს ქრისტომატიას, აკეთებს ადვილს ამოცანებს შეკრების და გამორიცხვისას და კარნახობით სწერს მოკლე წინადადებებს. საზოგადოდ ბავშვის გონება შესაფერად არის განვითარებული.

ამ სასწავლებლებში, როგორც სა-

ზოგადოდ სამზღვარ გარეთის ყველა სასწავლებლებშია მიღებული, კვირაში ორი დღე აქვთ თავისუფალი.

თითოეული სასწავლებელი მოზრდილ ყმაწვილებისათვის დანიშნული, შვიდს კლასად განიყოფება. სამოსწავლო საგნები-კი სამს ჯგუფად:

1) აუცილებლად შემოღებული საგნები: წერა, კითხვა, ანგარიში და ლექსების ზეპირად წარმოთქმა.

2) „საკლასო საგნები.“: გრამატიკა, ისტორია, პირველი ცნობები ბუნების მეტყველების მეცნიერებიდგან და კერვა.

3) საფაკულტეტო საგნები: ენები: ფრანგული, გერმანული, ლათინური, მატემატიკა, ალგებრა, ფიზიოლოგია, ქიმია, საშინაო ეკონომია და სხვა. ამ უკანასკნელს საგნებს მხოლოდ იმ სასწავლებლებში ასწავლიან, სადაც მასწავლებელთა რიცხვი საკმაოა. პირველის სამის კლასის მოზარდი ყმაწვილები (ქალები და ვაჟები) მარტოდ ზემოდ მოყვანილის ორის ჯგუფის საგნებსა სწავლობენ. მარტო ამ კლასებშივეა შემოღებული ეგზამენები. დაბალს კლასებში ეგზამენები არ არის და მოსწავლეები კლასიდგან კლასში სწავლის კვალობაზედ გადაჰყავთ.

საყურადღებო და უცნაურია აგრეთვე წესი მასწავლებლების დაჯილდოვებისა, გარდა იმისა, რომ თითოეული მასწავლებელი თითოეული მოსწავლის სწავლებისათვის მთავრობისაგან იღებს დანიშნულს ჯამაგირს, ნება აქვს, კლასის წარმატების მიხედვით, ნამატი ჯამაგირიც მოითხოვოს, რომელიც მთელის წლის ჯამაგირის $^2/_3$ უდრის. ასეთი წესი სწორედ რომ კარგია, რადგანაც მასწავლებელიც მხნევდება და მოსწავლენიც აცილებულნი არიან ათასგვარს არა სასიამოვნო გარემოებას, რომელიც მოხდება ხოლმე იმგვარს სასწავლებელში, სადაც მასწავლებლები უგულოდ ეკიდებიან საქმეს და მარტო იმიტომ შრომობენ, რომ ლუკმა პური იშოვნონ და თავისის კლასის სწავლის მხრივ წარმატება-კი აინუნშიაც არ მოსდით.

## წერილი რედაქციის მიმართ

I

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნს მიტროფანე კანდელაკს და მასთან მოხსენებულთ „ივერიის“ მე-248 № ში, რომელთაც ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღების დასახმარებლად შემოსწირეს 67 მან. ღმერთსა ვსთხოვ, რომ მათი წამბაძველნი ბევრნი აღმოჩენილიყვნენ და ჩვენი ქართულის გალობის ნოტებზედ დაწყობა სასურველად დაგვირგვინებულიყოს.

ფილიმონ ქორიძე

II

გულითადს მადლობას ვუცხადებ ექიმს ი. ს. ელიაშვილს, რომელმაც დღეს დაათვალიერა მამა-დავითის სამრევლო დედათა სასწავლებელი და აღგვითქვა, რომ თვეში ოთხჯელ ყოველ მოსწავლე ბავშვს გასინჯავს და უსასყიდლოდ უწამლებს. ამასთანავე მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს პოპოვს, რომელმაც თავისის საკუთარის სააფთიაქო საწყობიდგან მუქთათ დაგვითმო იმავე სასწავლებლისათვის სხვა-დასხვა საჭირო წამლები.

მამა-დავითის სამრევლო დედათა სასწავლებლის საპატიო მზრუნველი კნეინა ალექსანდრა მამუკას ასული მელიქიშვილისა.

## შემოწირულება

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს: 1, იოსებ ლუკას ძემ ისარლოვმა ერთი ყუთი სხვა-და-სხვა რუსული და ფრანგული წიგნები; 2, ალექსანდრე სვიმონის ძემ გამრეკელმა—ქართული გრამატიკა ს. დოდაშვილისა; 3, პ. გელეიშვილმა სამი ისტორიულის საბუთის პირი; 4, კნ. ოლგა თადეოზის ასულმა ქავქავაძისამ მიწაში ნაპოვნი ძველი თიხის პატარა ხელადა; და 5, მღ. იოანე გვარაძემ ძველი ფულები—2 ვერცხლისა და 6 სპილენძისა.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** დღეს პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მესამის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი, საიმპერატორო გვარეულობის წევრნი, ვალლიის პრინცის ასული, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, მინისტრები, სენატორები, სასახლის მოხელენი, მათ უდიდებულესობათა ამალა და გენერლობა.

**ბერლინი.** დღეს იმპერიის კანცლერმა პარლამენტის თავმჯდომარეს ბერლინის ბრალმდებელის წინადადება გაუგზავნა, რომლითაც სთხოვს პარლამენტს, ნება მომეცით, სისხლის სამართალში მივცეთ ის სოციალისტთა დეპუტატები, რომელნიც როცა იმპერატორისათვის «Hoch»-ი იყო წარმოთქმული, ფეხზედ არ წამოდგნენ. ამათ მისის უდიდებულესობის შეურაცხების ბრალი დაედებათ.

# განცხადებანი

**ისყიდება მიწა**

510 საჟენი, 3500 მანეთად ღირებული, რომელიც მდებარეობს ჩუღურეთში. მიწა მსურველთ შეუძლიანთ იყიდონ ერთიანად და წვრილ-წვრილად, ან ერთს კაცს და ან ამხანაგობას.

ადრესი: განოვის ქუჩა, შადინოვის სახლი, № 25.

(3—4—1)

დაიბეჭდა ჲ ისყიდება წერა-კითხვის მაღაზიაში, ქართველთა ამხანაგობის ფარდულში და სხვებთან

**1895 წ.**

კედლის ქართული

**კალენდარი**

გრ. ჩარკვიანის მიერ შედგენილი

**ჩელიჩადი მეშვიდე**

ფასი ორი აბაზი

კალენდრების უმთავრესი საწყობი იზმიროვის მემკვიდრის ლაზარევის მაღაზია, სასახლის პირდაპირ, საეკკლესიო მამულში, ტფილისს.

(3—უ.—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**ჩართული ანბანი**

შედგენილი გრ. ტატიშვილის მიერ

ამ ანბანში მოქცეულია წყვილ-წყვილად ერთმანეთში ხელოვნურად და შნოიანად ჩართული ასოები, რომლებიც სახელისა და გვარის აღსანიშნავად შეიძლება ამოიჭრას ყოველნაირს ლითონის ნივთზედ (ოქროსა, ვერცხლსა, თითბერზედ და სხვ.) და ამოიკეროს.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი **ა. მ. ტურბოვიჩი**. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**მ. ი. ფრანცოუსი**, 7—$7^1/_2$ საათსნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერისფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—ნ.—42)

**კარგი შემთხვევაა!**

ჭურჭლის და ლამპის

**მაღაზია**

ა. ო. ანდრიასოვისა,

თავ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ტფილისში.

საქონლის მოგროვების გამო დანიშნული არის დიდი გასყიდვა, ფასები საფაბრიკოა და შეუვაჭრებლად

(6—2)

С.-ПЕТЕРБУРГСКОЙ ТЕХНО-ХИМИЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРИИ

საპონი «ნევის კაპრიზი»
საპონი «სათო»
საპონი «მიუსკ»
მშვენიერი სუნისა, მეტადრე სასიამოვნოა ხმარებაში.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П.Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—15—3)

**ცხოვრება**

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცაჰელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |

# „ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію ,,ИВЕРІЯ‘‘.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.